სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ოლიკო ჩივიაშვილი

ოჯახური ძალადობა, თანამედროვე პრობლემა და მასთან ბრძოლის მექანიზმები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის სამაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ოჯახური დანაშაული - სისხლის სამართლის კანონმდებლობის 126[1] მუხლშია აღწერილი. აღნიშნული დანაშაული საკმაოდ ძველ და საშიშ დანაშაულს წარმოადგენს. ამ მუხლში ჩამოთვლილია ყველა ის ქმედება რომელიც შეიძლება მივიჩნოთ ოჯახურ ძალადობად.

ოჯახური ძალადობა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში და გამონაკლისი არც საქარათველოა. იგი საქართველოში უძველესი დროიდან ითვლება მძიმე დანაშაულად. ეს დანაშაული ასახულია ძველი სამართლის ძეგლებში და სკმაოდ კარგათაა ჩამოყაიბებული კანონმდებლობის სახით. იგი დღეისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან ადამიანები მიხვდნენ, რომ ძალადობის ამგვარი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და სცდება ოჯახის ფარგლებს. საქართველოში ამ ფაქტს ხელი ეუწყო სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ, როდესაც მოხდა ოჯახური ძლადობის გამოყოფა ზოგადად ძალადობისგან.

იგი ყოველთვის აქტუალური თემა იყო და წარმოადგენდა კვლევის საგანს მეცნიერ-იურისტებისთვის და პრაქტიკოსებისთვის. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი კვლევაა დაწერილი.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემაა ოჯახური ძალადობა, თანამედროვე პრობლემა და მასთან ბრძოლის მექანიძმები. ნაშრომში განხილულია ოჯახური ძალადობის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის მომზადებისას ჩვენ გამოვიყენეთ თეორიული ხასიათის მასალა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, პარალელი გავავლეთ სხვა ქვეყნებში არსებული ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით შექმნილ ინსტიტუტებზე. აგრეთვე ვიხელმძღვანელეთ საქართველოში არსებული სტატისტიკით და შევადერეთ ბოლო სამი წლის მონაცემები.

O. Chiviashvili

Famili violence, modern problem and the mechanisms to combat it

Annotation

Family offense - described in Article 126[1] of the Criminal Law. The crime is quite old and dangerous. This article lists all the actions that can be considered as domestic violence.

Domestic violence is a big problem throughout the world and it is not an exception in Georgia. It is considered to be a serious crime from ancient times in Georgia. This crime is reflected in old law monuments and is fairly good in the form of legislation. It is more important nowadays, because people have realized that such acts of violence constitute a crime and go beyond the family. In Georgia, there was a change in the Criminal Justice Code of Georgia, when the family violence was allocated from the violence in general.

It was always a topic of concern and was a research topic for lawer scientists and practitioners. A lot of research has been written about this issue.

The subject of this master's thesis is the domestic crime and the mechanisms to combat it. The paper discusses basic aspects of origin and development of domestic violence.

While preparing the theory, we used theoretical nature, statutory acts, and parallel to the institutions created to prevent domestic violence in other countries. Also, we have been studying statistics in Georgia and we have compared with the last three years.

სარჩევი

შესავალი……...4

თავი I. ოჯახში ძალადობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით……6

თავი II.ოჯახში ძალადობის ზოგადი დახასიათება და ფორმები.....8

2.1ძალადობა……....11

2.2სისტემატიური შეურაცყოფის ცნება.....14

2.3შანტაჟის ცნება.....16

2.4დამცირების ცნება.....18

თავი III. ოჯახში ძალადობის სუბიექტები……..20

3.1.ოჯახში ძალადობის მსხვერპლი……20

3.2.ოჯახში ძალადობის ამსრულებელი.....23

თავი IV.ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზების თეორიული ახსნა……...26

4.1.ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში……..28

თავი V.ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მექანიძმები.....32

5.1.ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება……35

5.2. ოჯახური ძალადობის პრევენცია……43

თავი VI.სტატისტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.....48

დასკვნა.....50

გამოყენებული ლიტერატურა.....52

შესავალი

ოჯახური ძალადობა ერთ - ერთი ყველაზე გავრცებული და საკმაოდ რთული სოციალურ - სამართლებრივი მოვლენაა. იგი არსებობდა ყველა დროში და სკმაოდ მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა. აღნისნული დანაშაული დიდ პრობლემას წარმადგენს მსოფლიოში და აგრეთვე საქართველოშიც. იგი პირდაპირ აისახება ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ჩვენი სახელმწიფო აქტიურად ცდილობს დაიცვას თითოეული ადამიანის უფლებები რათა მათ მიმართ არ მოხდეს ოჯახში ძალადობის ფაქტი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია და სასჯელის გამკაცრების აუცილებლობა.

საკვლევი თემის აქტუალობა. აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია და მძიმე პრობლემას წარმოადგენს, სწორედ ამან მიბიძგა ნაშრომის შექმნისაკენ. ჩვენს გარშემო ყოველდღიურად ხდება ოჯახური ძალადობა და სტატისტიკური მონაცემებით საკმაოდ დიდი მაჩვენებელია მსხვერპლის. აქედან კი რათქმაუნდა უმეტეს შემთხვევაში ქალი გვევლინება მსხვერპლის როლში.

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ოჯახური ძალადობს გამომწვევი მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. განვიხილავთ იმ მეთოდებს, რომელსაც იყენებს ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ პრობლემასთნ საბრძოლვლად. საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი რომ ოჯახური ძალადობა არა არის მხოლოდ ფიზიკური ძალადობა და რომ შესძლებელია მოძალადესთან ბრძოლა კანონის დახმარებით. საკმაოდ მნიშვნელოვანია ხალხში ცნობიერების ამაღლება ყველანაირი საშუალების გამოყენებით რათა მათ იცოდნენ, რომ ამგვარიი დანაშაულის არსებობისას მათ იცავს კანონი და სახელმწიფო.

როგორც ვთქვით ოჯახური ძალადობა მთელი მსოფლიოსთვის დიდ პროლემას წარმოადგენს. ისინი დანაშაუთან საბრძოლველად და პრევენციის მიზნით სხვადასვა სამართლებრივ მექანიძმებს იყენებენ. არც საქართველოა გამონაკლისი

და უკვე რამდენიმე წელია საგრძნობლად გააუმჯობესა კანონმდებლობა ამ დანაშაულთნ საბრძოველად. შესაძლებელია ეს მექანიძმები ახლოს იყოს ჩვენს კანონმდებლობასთნ ან უფრო მკაცრად მოგვეჩვენოს მაგრამ თითოეული მათგანის მიზანი ერთია, ეს მიზანი წარმოადგენს ოჯახური დანაშაულის პრევენციას და მის აღმოფხვრას.

კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ ისტორიული მაგალითები ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ასევე გამოყენებულია მაგალითები სხვადასხვა ქევყნების მიერ გამოყენებული ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით. ნაშრომში გამოყენებულია ქართული კანონმდბლობა და თეორიული ხასიათის მასალა.

ნაშრომის მოკლე მიმოხილვა - პირველ თავში აღწერილია ოჯახური ძალადობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით.

მეორე თავში განხილულია ოჯახში ძალადობის ზოგადი დახასიათება და ფორმები. ქვეთავებში კი განხილულია ოჯახური ძალადობის ფორმები.

მესამე თავში მოცემულია ოჯახში ძალადობის სუბიექტებს. ქვეთავებში კი განხილულია. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და ამსრულებელი.

მეოთხე თავი ეხება ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზების თეორიული ახსნა. ქვეთავში კი მოცემულია ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში.

მეხუთე თავში შესწავლილია .ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მექანიძმები. ქვეთავებში კი მოცემულია ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება და ოჯახური ძალადობის პრევენცია.

მეექვსე თავში კი განხილულია სტატისტიკა ოჯახურში ძალადობასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა - ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ექვსი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 53 გვერდს.

თავი I. ოჯახში ძალადობა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით

საქართველოში უძველესი დროიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახში ძალადობას. იგი სპეციალური სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში კანონმდებელი საკმაოდ დიდ ყურადღებას ამახვილებს ოჯახში ძალადობის მიმართ. მაგალითად, ,,აღნიშნული ძეგლის 22-ე მუხლი ითვალისწინებს ძმის მიერ ძმის მკვლელობას. კანონმდებელი ასეთ დანაშაულს მეტად მძიმე დანაშაულად მიიჩნევს და განმარტავს, რომ თუ გაყოფილი ძმა იქნა მოკლული, მკვლელმა უნდა დაუურვოს ორკეცი სისხლი, ასევე საკანონო ანუ ცოდვის შესანანებელი გადასახადი ასკეცი ოდენობით. გაუყრელი ძმის მკვლელობის საკითხი კი ოჯახში უნდა მოგვარდეს, მასში სახელმწიფო და ეკლესია არ ერევა.“[1]

„კათალიკოსთა სამართალი ითვალიწინებს დანაშაულის ისეთ სახეს, როგორიცაა მკვლელობა (მუხლი მე-5). უბრალო კაცის მკვლელობისათვის ქონებრივი სასჯელებია დაწესებული, ხოლო ძმის ან მამის მკვლელობისათვის ხელის მოკვეთა და მამულიდან გაძევება. კერძოდ, ძეგლისდების მე-4 მუხლი ამბობს: „ვინც ძმა მოკლას ანუ მამა, ხელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს“[2]

ბექასა და აღბუღას სამართლის 29 მუხლი ეხება ქმრისაგან ცოლის მიტოვებას, რისთვისაც სისხლის ნახევარი უნდა გადაიხადოს და მზითვი დააბრუნოს, ამასთან, თუ ქმარი ღალატისთვის მიატოვებს ცოლს მზითვი მაინც უნდა

[1] ვ.მეტრეველი. (2014). *ქართული სამართლის ისტორია.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდინი". გვ.280

[2] იქვე. გვ.288

დააბრუნოს. 32-ე მუხლის თანახმად, ქალს ეკრძალება ქმრის მიტოვება, მაგრამ თუ მაინც მიატოვა, ცოლმა ქმარს სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს.[3]

კათალიკოსთა სამართლის 23 მუხლი „უმიზეზოდ (უბრალოდ) ცოლის დაგდებას ანუ მიტოვებას დანაშაულად მიიჩნევს, რისთვისაც შეჩვენებასა და სიკვდილლით დასჯას ითვალისწინებს,, [4]

კვალიფიციურ ანუ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად მიიჩნევს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ცოლის მიერ ქმრის მკვლელობას: „თუ ცოლმან ქმარი მოკლას... თუ ასეთი რამ ექნას, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ, უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ჩვენ დროში მოხდეს, ჩვენ ვიცით“ (მუხლი 65).[5]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად თვლის ასევე ძმის მკვლელობას. აღნიშნული ძეგლის 81-ე მუხლის მიხედვით: „თუ ძმამ ძმა მოჰკლას, არც მისი სისხლი ვიცით, ჩვენთან მძიმე არის და თქვენ იცით. მაგრამ თუ შვილი ჰყავს, სისხლი და ნახევარი გაუჩნდების და კათალიკოზისა იმან იცის...“[6]

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვალისწინებს დის მკვლელობას ან, პირიქით, ძმის მიერ დის მკვლელობას და მიუთითებს, რომ ეს დანაშაული იმდენად მძიმეა, უნდა გაასამართლონ მეფემ და კათალიკოსმა: „თუ ძმამ და მოჰკლას, ან დამ ძმა მოჰკლას ჩვენ იმისი სამართალი არ ვიცით, მისიც მეფემ და კათალიკოზმა იციან.“[7]

აღნიშნული მაგალითების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რო უძველესი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული საზოგაადოება ოჯახურ დანაშაულს და კანონმდებლობაც შესაბამისად კარგათ იყო მოწესრიგებული.

---

[3] იქვე. გვ.284
[4] ვ.მეტრეველი. (2014). *ქართული სამართლის ისტორია.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდინი". გვ.288
[5] იქვე.გვ.292
[6] იქვე. გვ.292
[7] იქვე. გვ.292

თავი II. ოჯახში ძალადობის ზოგადი დახასიათება და სახეები

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე რთული და გავრცელებული პრობლემაა თანამედროვე სამყაროში და აგრეთვე საქართველოშიც. იგი საკმაოდ დიდი ხანი ითვლებოდა ტაბუდადებულად ვინაიდან არავის არ სურდა ჩარეულიყო სხვისი ოჯახის საქმეებში, თვლიდნენ რომ ეს იყო სხვისი პირადი ცხოვრება. ბოლო წლების განმავლობაში ოჯახური ძალადობის კუთხით ჩადენილმა დანაშაულებმა ცხადყო, რომ აუცილებელი იყო მომხდარიყო ცვლილება კანონმდებლობაში ვინაიდან აღნიშნული დანაშაული საკმაოდ მაღალი საშიშროების მქონე დანაშაულს წარმოადგენდა.

საკმაოდ რთული ვითრებაა ამ მხრივ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. „სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიძაციებისა თუ ამ თემაზე მომუშავე ცალკეული პირების შეფასებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებში ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ რთულ და ამასთან დაფარულ პრობლემას წარმოადგენს.“[8]

ოჯახური ძალადობა არ არის მხოლოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცული ნორმა, იგი პირველ როგში არღვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებს: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური, ან სხვა შეხედულებების, ქონებრვი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ან სხვა ნიშნის მიხედვით.“[9]

ოჯხში ძალადობასთნ საბრძლველად საქართველოში არსებობს სხვადასხვა კანონმდებლობა. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის სხვერპლთა

[8] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში. „ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში. თბილისი 2017. გვ.5
[9] საქართველოს კონტიტუციის 11 მუხლი. 1 პუნქტი. 23/03/2018 წლის მდგომარეობით.

დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი“ იგი მიღებულ იქნენა საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს და ძალაში შევიდა 2006 წლის 9 ივნისს“[10]. აღნიშული კანონის მე-3 მუხლში განმარტებულია თუ რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა: „ ოჯახში ძალადობა გულიოსხმობს ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური, უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.[11]

ოჯახური ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიმართ ოჯახის მეორე წევრზე განხორციელებული ძალადობა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცემა და ა.შ. ოჯახის წევრებად ითვლებიან „მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“[12]

ოჯახში ძალადობას ჰყავს სპეციალური სუბიექტები როგორც თავდამსხმელის, ასევე დაზარალებულის სახით-ოჯახის წევრები. ამდენად, კონფლიქტი უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს. ,,ოჯახში ძალადობა მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს-ერთჯერადი ძალადობრი აქტიდან დაწყებული ძალადობის მასობრივი ფორმებით დამთავრებული. ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები-ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება.“[13]

„ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისგან და დამყარებულია მოძალადის

---

[10] ბოჭორიშვილი. კ, ლორია. ა, პრაქტიკული სახელმძღვანელო ძალადობის საკითხებზე. თბილისი 2009. გვ.25

[11] ქალთა მიმართ ძლადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთს, ძალადობის სხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი მე-3 მუხლი. 05/07/2018 წელის მდგომარეობით.

[12]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1]მუხლის შენიშვნა 30/11/2018 წლის მდგომარეობით.

[13] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხძე თბილისი 2010. გვ.8

და მსხვერპლის ურთიერთობაზე; ოჯახში ძალადობა დროში გახანგძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია; ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს."[14]

ამასთან ოჯახური ძალადობის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მოძალადის მიმართ, ვინაიდან მოძალადე წარმოადგენს მისი ოჯახის წევრს. ძალადობის მსხვერპლი ქალი დამცირების, ფიზიკური შეურაცხყოფის და სხვა ქმედებების მიუხედავად განაგრძნობს მეუღლის სიყვარულს. ხშირად ძალადობის მსხვერპლს შეიძლება წარმოადგენდეს მშობელი, რომლის მიმართაც შვილს განსაკუთრებული სიყვარული და დამოკიდებულება აქვს ძალადობის მიუხედავად. აღნიშნული ასევე დაკავშირებულია დანაშაულის ლატენტურობასთან. ხშირად მსხვერპლი, ასე ვთქვათ, მიუტევებს მოძალადეს მის მიერ განხორციელებულ დასჯად ქმედებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის პოზიციის მიუხედავად, დანაშაული დანაშაულად რჩება.

ოჯახური ძალადობა აისახება არა მხოლოდ იმ პიროვნებაზე, რომელზეც ხორციელდება უშუალო ძალადობა, არამედ კონფლიქტი ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით, ოჯახის არასრულწლოვან პირებზე, აღნიშნული ქმედება იწვევს მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას, რაც შემდგომში საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრებაში უშლით ხელს. როგორც წესი პიროვნების ჩამოყალიბება ოჯახიდან იწყება. ოჯახს, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან რგოლს, დიდი წვლილი შეაქვს მოზარდის სოციალიზაციის საკითხში. ოჯახურმა ძალადობამ შესაძლებელია ისეთი ფორმით ჰპოვოს ასახვა მოზარდის პიროვნების განვითარებაზე, რომ მოზარდი გახდეს დამნაშავე. ოჯახურმა ძალადობამ შეიძლება მოზარდი დამნაშავედ ჩამოაყალიბოს შემდეგი გარემოების გამო - უფროსების მაგალითიდან გამომდინარე მოზარდებს კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ საშუალებად ძალადობა მიაჩნიათ. მათ ოჯახში ნასწავლი კონფლიქტის მოგვარების ეს მეთოდი (დარტყმა, ცემა,

[14] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხძე თბილისი 2010. გვ.8

დაყვირება) გამოაქვთ ქუჩაში და ცდილობენ, ასევე ძალადობის გამოყენებით კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას.

2.1.ძალადობა

„ძალადობა - იგი უნდა გავიგოთ ისევე როგორც სსკ 125-ე და 126-ე მუხლებში (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, ასევე სისტემატიური ცემა და ა.შ.), ოღონდ განსხვავებით სსკ 126 მუხლისგან, მან შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში ძალადობა გამოვლინდა წამებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ან სხვა უფრო მძიმე დანაშაულში, ქმედება, რა უნდა დაკვალიფიცირდეს არა 126[1] მუხლით, არამედ შესაბამისი მუხლით.“[15]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის ქმედების ობიექტური შემადგენლობით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული მუხლით აკრძალული ქმედება შეიძლება გამოიხატებოდეს ძალადობაში. ძალადობა, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკური ძალადობის ფორმებში. ძალადობას აქვს ფართო განმარტება. თავად სსკ-ის 126[1]-ე მუხლის დასახელება წარმოდგენილია შემდეგი სახით: ოჯახში ძალადობა, ხოლო შემდეგ ჩაშლილია ძალადობის ფორმები, რომლის ერთ-ერთი ფორმაც არის თვითონ ძალადობა. შესაბამისად, სსკ-ის 126[1] მუხლში არ იგულისხმება ფართოდ ძალადობის ყველა ფორმა, არამედ მისი წრე უფრო შეზღუდულად უნდა განვიხილოთ. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 126[1]-ე მუხლი ნებისმიერი ქმედების, მათ შორის, ძალადობის განმარტებისას, თავად ადგენს შეზღუდვას. კერძოდ, ცნებაში ძალადობა იგულისხმება, მხოლოდ იმგვარი ძალადობა, რამაც გამოიწვია:

[15] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1 გვ.144.გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2014

1. ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა

2. არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი.

საქართველოს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ოჯახში ძალადობა მოცემულია შემდეგი ფორმულირებით: „ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“[16] შესაბამისად, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ძალადობის ფორმებია:

1. უგულებელყოფა

2. ფიზიკური ძალადობა

3. ეკონომიკური ძალადობა

4. სექსუალური ძალადობა

5. იძულება.

ამავე კანონში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის ფორმების განმარტება:

„უგულებელყოფა – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და

[16]. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-3 მუხლი 05/07/2018 წლის მდგომარეობით.

კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე;

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანაონო აღკვეთა, ან სხვა ისთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებას, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცყოფა შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან იეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომელის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკვება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითრების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;“[17]

ზემოთმოყვანილ კანონში განმარტებული ძალადობიდან სსკ-ის 126[1]-ე მუხლში მოცემულ ქმედების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში - ძალადობაში შეიძლება ვიგულისხმოთ: უგულებელყოფა, ფიზიკური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და იძულება. აგრეთვე, სსკ-ის 126[1]-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში

[17] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-4 მუხლი 05/07/2018 წლის მდგომარეობით.

ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები: შეურაცხყოფა, დამცირება, შანტაჟი მოცემულია ცალკე ქმედებებად, თუმცა აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს სხვა ფსიქოლოგიური ძალადობის ხერხებიც, რაც სსკ-ის 126[1]-ე მუხლში სახელდებით არ არის მოცემული. ამიტომ ქმედებაში - ძალადობა უნდა ვიგულისხმოთ ის ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც არ გამოიხატება შეურაცხყოფაში, დამცირებაში ან შანტაჟში და აგრეთვე ფიზიკური ძალადობის ფორმები.

უნდა აღინიშნოს რომ სექსუალური ძალადობა მიეკუთვნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული თავით განსაზღვრულ დანაშაულს. სსკ ცალკე იცავს სქესობრივ თავისუფლებას და ხელშეუხებლობას. აღნიშნულ თავში მოქცეული დანაშაულები: ძირითადად მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა წრეს მიეკუთვნებიან. სექსუალური ძალადობა თავის თავში აგრეთვე მოიცავს ძალადობის ისეთ ფორმებს, რომელიც იწვევს პირის ჯანმრთელობის მინიმუმ მსუბუქ დაზიანებას.

2.2 სისტემატიური შეურაცხყოფის ცნება

სსკ-ის 126[1] მუხლით განსაზღვრული შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის სისტემატიური შეურაცყოფით, რასაც მოჰყვა ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და არ მოჰყვა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის არცერთი სხვა მუხლი ცალსახად შეურაწყოფას არ მიიჩნევს დასჯად ქმედებად - შეურაწყოფა სისხლის სამართლის კოდექსით დაჯადი ქმედებაა მხოლოდ სსკ-ის 126[1] მუხლით და შესაბამისად მხოლოდ ოჯახის წევრებს მიმართ.

მნიშვნელოვანია გავიგოთ რას ნიშნავს სიტყვა სისტემატიუტი შეურაწყოფა ამაში დაგვეხმარება ქართული განმარტებითი ლექსიკონი. აღნიშნული ლექსიკონის თანახმად, შეურაცხყოფა არის „უპატიოთ, უხეშად, არასაკმარისად მოქცევა,

მოპყრობა: დამცირება. შეურაცხყოფას მიაყენებს - თავმოყვარეობას, ღირსებას შეულახავს“[18] აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „შეურაცხყოფა“ გვხვდება „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის, მდხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კერძოდ, აღნიშნულ კანონში ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განხილულია ფსიქოლოგიური ძალადობა. ხოლო, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ გამოვლინებად კანონი ასახელებს შეურაცხყოფას. კანონში ფსიქოლოგიური ძალადობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა, ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.“[19] ამგვარად კანონის შესაბამისად შეურაცხყოფამ უნდა გამოიწვიოს ადამიანის პატივისა და ღირრსების შელახვა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“[20]

სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მიზნებისთვის შეურაცხყოფა უნდა გავიგოთ კანონის მსგავსად. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 126[1]-ე მუხლს გააჩნია მატერიალური შემადგენლობა. მართალია ყველა შემთხვევაში ობიექტურად შეურაცხმყოფელი ქმედება თავის თავში გულისხმობს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას, თუნდაც ამას მსხვერპლი ქმედუნარიანობის ან სხვა გარემოებების გამო ვერ იაზრებდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი იმის დადგენა, ქმედება ობიექტურად შეურაცხმყოფელია თუ არა, არამედ აღნიშნულს უნდა მოყვეს პირის ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. შესაბამისად, მსხვერპლის მიერ შეურაცხმყოფელი ქმედება უნდა იქნას აღქმული

[18]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია ირ. აბაშიძე, რმერტრეველი, არნ.ჩიქობავა. შ. ძიძიგური. მ.ჭაბაშვილი. 1990 წელი

[19] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-4 მუხლი ბპუნქტი 05/07/2018 წლის მდგომარეობით.

[20] საქართველოს კონტიტუციის მე-9 მუხლი 23/04/2018 წლის მდგომარეობით.

მტკივნეულად. სხვა შემთხვევაში არ შეიძლება ობიექტურად შეურაცხმყოფელმა ქმედებამ მოგვცეს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის შემადგენლობა.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთჯერადი შეურაცხყოფა შედეგის მიუხედავად არ შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებად, არამდედ მუხლის ობიექტური შემადგენლობის მიხედვით შეურაცხყოფა უნდა ატარებდეს სისტემატურ ხასიათს.

„შეურაცხყოფა სისტემატურად ჩაითვლება, თუკი იგი ჩადენილია სამჯერ მაინც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ და თანაც დროის მცირე ინტერვალის დაშორებით, ეს იმას ნიშნავს რომ პირველი შეურაცხყოფისაგან მიყენებული ფსიქიკური ტკივილი ჯერ არაა განელებული და ადგილი აქვს მეორე შეურაცხყოფას, შემდეგ ასევე მცირე მონაკვეთის დაშორებით _ მესამეს და ა.შ მაგალითად ქმარი სისტემატიურად დასცინის ცოლს თვისი გარეგნობის ან დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობის გამო.“[21]

2.3 შანტაჟის ცნება

სსკ-ის 126[1]-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატებოდეს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ შანტაჟში, რასაც მოჰყვა დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი.

„შანტაჟი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ იმის მუქარას, რომ თუ მას არ დაემორჩილება, გაუვრცელებს სახელის გამტეხ ინფორმაციას. ამასთან არ აქვს მნიშვცნელობა, ეს ინფორმაცია ნამდვილია თუ მოგონილი.“[22] ამგვარად შანტაჟს ყოველთვის თან ახლავს მუქარა. ამასთან, შანტაჟს განხორციელების საშუალება არ არის ყოველგვარი მუქარა, არამედ მუქარა

[21] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1 გვ.145.გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2014.
[22]სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1 გვ.145.გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2014.

გამოიხატება, მხოლოდ მსხვერპლის ან მისი ახლობლებისთვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურებაში.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ შანტაჟად ჩაითვლება, მხოლოდ ისეთი მუქარის განხორციელება, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის უფლებები. მაგალითად, ისეთი ცნობების გახმაურების მუქარა, რომელიც არ ხელყოფს მსხვერპლის ან მისი ახლობლის უფლებებს, არ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრის იძულებად.

ტერმინი „შანტაჟი“ გვხვდება „ქალთა მიმართ ძალაფობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კერძოდ, აღნიშნულ კანონში ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განხილულია ფსიქოლოგიური ძალადობა. ხოლო, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ გამოვლინებად კანონი ასახელებს შანტაჟს. კერძოდ, კანონში ფსიქოლოგიური ძალადობის განმარტება ფორმულირებულია შემდეგი სახით:

„ფსიქოლოგიური ძალადობა _ შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.“[23]

შესაბამისად, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსკ-ის 126[1]-ე მუხლში განსაზღვრულ ქმედების შემადგენლობაშიც, კანონის მსგავსად „შანტაჟში“ იგულისხმება ფსიქოლოგიური ძალადობა და მისი შედეგიც შეიძლება გამოიხატებოდეს ფსიქოლოგიურ ტანჯვაში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „შანტაჟის“ განმარტება მოცემულია შემდეგი სახით: „შანტაჟ-ი [ფრ.] სახელის გამტეხი ფაქტების (ნამდვილის თუ მოგონილის) გამჟღავნების მუქარა (რამე სარგებლობის მიღების მიზნით).“[24]

[23] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მე-4 მუხლის ბ)ქვეპუნქტი. 05/07/2018

[24]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია ირ. აბაშიძე, რმერტრეველი, არნ.ჩიქობავა. შ. ძიძიგური. მ.ჭაბაშვილი. 1990 წელი.

ამგვარად შანტაჟს ყოველთვის ახლავს მუქარა და გარდა მუქარისა, ყოველთვის ახლავს მსხვერპლის იძულება გარკვეული მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების; მსხვერპლის მხრიდან მუქარა აღქმული უნდა იყოს რეალურად; იგი უნდა იწვევდეს მსხვერპლის ფსიქიკურ ტანჯვას; არ უნდა იწვევდეს მსხვერპლის ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც კი.

2.4 დამცირების ცნება

„დამცირების გამიჯვნა შეურაცხყოფისაგან ძნელი, რადგან შეურაცხყოფა გულისხმობს დამცირებასმაგრამ შეურაცხყოფისას ეს დამცირება უწესო ფორმითაა გამოხატული. დამცირების დროს დროს კი ოჯახის ერთი წევრი მეორეს მეორეს ყოველდღიურ ურთიერთობაში აგრძნობინებს, რომ იგი არასრულფასოვანი პიროვნებაა.“[25]

ტერმინი დამცირება გვხვდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კერძოდ, აღნიშნულ კანონში ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განხილულია ფსიქოლოგიური ძალადობა. ხოლო, თავის მხრივ, ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ გამოვლინებად კანონი ასახელებს დამცირებას. კერძოდ, კანონში ფსიქოლოგიური ძალადობის განმარტება ფორმულირებულია შემდეგი სახით: „ფსიქოლოგიური ძალადობა _ შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

დამცირება არის ფსიქოლოგიური ძალადობა, შესაბამისად შედეგიც უნდა გამოიხატებოდეს ფსიქოლოგიურ ტანჯვაში. სსკ-ის 126[1]-ე მუხლს აქვს მატერიალური შემადგენლობა, ამიტომ ოჯახის ერთი წევრის მიერ მისი ოჯახის

[25] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წელი, გვ.145

მეორე წევრის დამცირება მოცემული მუხლით დაკვალიფიცირდება მაშინ, თუ ქმედება იწვევს პირის ფსიქოლოგიურ ტანჯვას და არ იწვევს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც კი.

„კანონში არაა პირდაპირ მითითება იმაზე, რომ დამცირება უნდა იყოს სისტემატური, მაგრამ ერთჯერადად მისი ჩადენა არ უნდა შეფასდეს ოჯახში ძალადობის იმ გამოვლინებად, რამაც უნდა გამოიწვიოს სს პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, რომ ერთჯერადი დამცირებისათვის არაა ტიპური ტანჯვის გამოწვევა.“[26] დამცირების ფორმა შეიძლება ოყოს: თმებძე მსუბუქად მოქაჩვა, თავში მსუბუქად ჩარტყმა ამ სხვა ამგვარი ქმედება.

ამგვარად, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის დამცირება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 126[1]-ე მუხლით, როდესაც სახეზეა შემდეგი გარემოებები კუმულაციურად: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის დამცირება. დამცირება, რაც იწვევს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა არ შეიძლება ჩაითვალოს ძლიერად. ქმედება არ იწვევს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც კი.

თავი III. .ოჯახური ძალადობის სუბიექტები

[26] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წელი, გვ.146

3.1ოჯახური ძალადობის მსხვერპლი

როგორც ავღნიშნეთ ოჯახური ძალადობა რომ სახეზე გვქონდეს აუცილებელია მსხვერპლიც და მოძალადეც ერთი და იგივე ოჯახის წევრები იყნენ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლის მიხედვითოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა , მამა, ბებია, პაპა, შვილი(გერი), შვილობილი, მშობლების მეუღლე, ნაშილები, მიმღები ოჯახი(დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, ასევე პირები რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთად საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული კანონი საკმაოდ ამომწურავად გვაძლევს ჩაამონათვალს ოჯახის წევრების.

ჩვენს გარშემო ძალიან ბევრია შემთხვევა, როდესაც ძალადობა ხორციელდება ყოფილი მეუღლი მხრიდან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძალადობა ძირითადად ეჭვიანობი ნიადაგზე ხორციელდება და როგორც წესი ძალადობის მსხვერპლად ქალი გვევლინება. ამას ის ფაქტი ხსნის, რომ ყოფილი მეუღლეები ვერ ხვდებიან რომ მათ ყოფილ მეუღლეს შესაძლებელი ჰქონდეთ პირადი ცხოვრება.

ოჯახის წევრთა ჩამონათვალში აგრეთვე გვხვდებიან ის პირები, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. საქართველოში საკმაოდ ბევრი ოჯახია ასეთი. წყვილები წლების განმავლობაში ცხოვრობენ ერთად, ჰყავთ ბავშვები, მაგრამ არ ცხოვრობენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.ამ დროს მათი ქორწინება იურიდიულად არა მაგრამ ფაქტობრივად სახეზეა ამიტომ საჭირო გახდა დაცულიყო მათი უფლებებიც.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ძირითად შემთხვევაში არიან ქალები. სწორედ ამიტომ ამ კუთხით საკმაოდ საინტერესოა სტამბულის კონვენცია, "ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“. აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის[27] მიხედვით:

[27] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის სბჭოს კონვენცია მე-2 მუხლი

1.მოცემული კონვენცია ეხება ქალთ მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის ოჯახში ძალადობას, რაც არათნაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.

2.მხარეებს მოუწოდებენ, რომ კონვენცია გამოიყენონ ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლთან მიმართებაში. მოცემული კონვენციის დებულების განხორციელებისას მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცვენ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

სტამბულის კოვენციის მე-3[28] მუხლის მიხედვით „ქალთ მიმართ ძალადობა" აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაცშედეგად მოჰყვა ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისათვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქპლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს - საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის აპრილის თვის მონაცემებით ოჯახში ძალადობის 783 ფაქტია გამოვლენილი აქედან „ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე 623 შემაკავებელი ორდერია გამოცემული, ყველაზე მეტი ფაქტი გამოვლენილია 25-44 წლის ასაკს ზემოთ ქალებში. მამკაცთ მიმართ ძალადობის სულ 160 ფაქტია გამოვლენილი და აქედან ყველაზე მეტი 45 წლის ასაკს ზემოთ მამაკაცებშია გამოვლენილი"[29]. აღნიშნული სტატისტიკის დახმარებით შეგვიძლია ვთქვათ რომ მართლაც სწორედ ქალები არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი და საკმაოდ რთული ვითარებაა საქართველოში ამ ფაქტთან დაკავშირებით.

აგრეთვე საკმაოდ ხშირია შემთხვევა როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლად გვევლინება არასრულწლოვანი შვილი. როგორც წესი ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბება ბავშობის ასაკიდან იწყება ამიტომ სამაოდ მნიშვნელოვანია

[28] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის სბჭოს კონვენცია მე-3 მუხლის პირველი ნაწილი ა)პუნქტი.
[29] https://info.police.ge/uploads/5ce53c43cbd4e.pdf.

ბავშვები მშვიდ და წყნარ ვითარებაში იზრდებოდნენ. ბავშვები ძირითდად ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან ოჯახის წევრების მხრიდან მაგრამ საკმაოდ გახშირდა ფაქტები იძულებითი ძალადბის, სწორედ აღნიშნული ძალადობის ერთ - ერთი გავრცელებული ფაქტია.

„არასრულწლოვანზე ძალადობის დროს არასრულწლოვანი პოლიიცის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, ხოლო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განსაზღვრულ შემთხვევებში - სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განცალკევდება მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისაგან.“[30]

ამგვარად მსხვერპლი არის – „ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა);“[31]

3.2ოჯახური ძალადობის ამსრულებელი

სსკ-ის 22[32]-ე მუხლის განმარტებით:

[30] საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მე-14 მუხლის 1 ნაწილი. 05/07/2018.
[31]საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტი. 05/07/2018.
[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 29/05/2019

„ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“

„აღნიშნული დანაშაულის მასრულებელია არა საერთო დიბიექტი, არამედ მხოლოდ ოჯახის ბრალუნარიანი წევრი, რომრლიც პასუხისმგებლობის ასაკსაა მიღწეული.“[33]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, თუ კონკრეტული დანაშაულისთვის არ არის უშუალოდ განსაზღვრული პირი, რომელმაც უნდა ჩაიდინოს დანაშაული, იგულისხმება, რომ ნებისმიერი ბრალუნარიანი პირის მიერ ქმედების განხორციელების შემთხვევაში ის ჩაითვლება ამსრულებლად.

სსკ-ის 126[1] მუხლში მითითებულია, რომ ოჯახში ძალადობად ჩაითვლება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება, შანტაჟი. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ჩადენა შეუძლია მხოლოდ მსხვერპლის ოჯახის წევრს. შესაბამისად, სსკ-ის 126[1]-ე მუხლის ამსრულებლად განსაზღვრულია სპეციალური სუბიექტი - ოჯახის წევრი.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად, არ არის განმარტების საგანი, ვინაიდან სსკ-ის 126[1]-ე მუხლის შენიშვნაში მოცემულია ოჯახის წევრის განმარტება. კერძოდ, 126[1]-ე მუხლისთვის ოჯახის წევრად ითვლება: „მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი(გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე,

[33] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2014 წელი, გვ.143.

აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“[34]

სწორი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი, თანაამსრულებელი და თანამონაწილე

თანამონაწილისა და უშუალო ამსრულებლის გამიჯნა, გარკვეულწილად ადვილია ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ვინაიდან ცალსახაა, რომ თუ პირი არ წარმოადგენს დაზარალებულის ოჯახის წევრს მას ვერ მივიჩნევთ ოჯახში ძალადობის თანაამსრულებლად.

შესაძლებელია თუ არა სსკ-ის 126[1]-ე მუხლში მოცემული დანაშაულის თანაამსრულებლობა?

ვინაიდან, მხოლოდ ოჯახის წევრი შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლში განსაზღვრული ქმედების ამსრულებლად, თუ პირი არ წარმოადგენს მსხვერპლის ოჯახის წევრს, მას ვერ მივიჩნევთ ოჯახში ძალადობის ამსრულებლად. შესაბამისად, ვინც არ შეიძლება იყოს კონკრეტული მუხლით განსაზღვრული ქმედების ამსრულებელი, ის არ შეიძლება ქმედების თანაამსრულებლად ჩაითვალოს. თუმცა, თუ მაგალითად ოჯახის ორი წევრი სხვა წევრის მიმართ უშუალოდ ახორციელებს ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, დამცირებას ან შანტაჟს, ორივე მათგანი იქნება სსკ-ის 126[1]-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ამსრულებელი და ერთობლივად მათი ქმედების შემთხვევაში ისინი განიხილებიან სსკ-ის 126[1]-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების თანაამსრულებელად. მაგალითად, ორივე მშობელი -დედაც და მამაც, ახორციელებს შვილზე ძალადობას. ამ შემთხვევაში ორივე მათგანი ჩაითვლება ოჯახში ძალადობის ამსრულებლად, შესაბამისად, ისინი იქნებიან სსკ-ის 126[1] მუხლის თანაამსრულებელნი.

[34] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-126[1]მუხლის შენიშვნა 29/05/2019 წლის მდგომარეობით.

რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ძალადობას ახორციელებს ერთდროულად ორი პირი, რომელთაგან ერთი მსხვერპლის ოჯახის წევრია, ხოლო მეორე არა?

მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის მამა და მისი მეგობარიი ახორციელებს პირზე ძალადობას, კერძოდ, ცემენ მას, რაც იწვევს მის ფიზიკურ ტკივილს თუმცა არ იწვევს ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც კი. შეიძლება თუ არა მამის მეგობარი და მამა, რომლებიც ახორციელებენ ძალადობას ჩაითვალნონ სსკ-ის 126[1] მუხლით განსაზღვრული დანაშაულის თანაამსრულებლად?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობის ამსრულებლები შესაძლებელია იყვნენ მხოლოდ მსხვერპლის ოჯახის წევრები, შესაბამისად, 126[1]-ე მუხლის თანაამსრულებლებიც შეიძლება იყვნენ მხოლოდ მსხვერპლის ოჯახის წევრები. აქედან გამომდინარე, პირი, რომელიც არ წარმოადგენს მსხვერპლის ოჯახის წევრს, არ თანაამსრულებლად. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში მამის მეგობარი არ შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების თანაამსრულებლად.

ამგვარად დანაშაულის ამსრულებელი შესაძლებელია იყოს მხოლოს და მხოლოდ ოჯახის წევრი და არა სხვა ნებისმიერი პირი წინააღმდეგ შემთხვევაშ დანაშაული სუ სხვა მუხლით დაკვალიფიცირდება.

თავი IV. ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზების თეორიული ახსნა

ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა თეორიები განსხვავებულად ხსნიან. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები რათა შემდგომში უფრო მარტივი გახდეს მასთან ბრძოლა. უკვე მრავალი წელია ჩამოყალიბდა თეორიები, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ ოჯახური ძალადობის მაპროვიცირებელი გარემოებების ახსნას. მაგრამ ვფიქრობთ, რომ რომელიმე კონკრეტული თეორიით ახსნა ამ დანაშაულის არასწორია, ვინაიდან ის არ იქნება საკმარისი მოძალადის, როგორც დამნაშავის ფსიქოლოგიის სრულყოფილი ანალიზისთვის.

„აშშ-ში 1970 წელს ჩამოყალიბდა „ნაცემ ქალთა მოძრაობა“, რომრლთ მიერ მიღებული თეორიით მამაკაცის მიერ ქალის ცემის ფაქტი აიხსნებოდა ფდიქოპათოლოგიაზე საუბრით. თეორიის ავტორებს მიაჩნდათ რომ: ქმარი რომელიც ცოლს სცემდა იყო ფსიკქიკურად დაავადებულიდა მისი განკურნება შეიძლებოდა წამლებია და და ფსიქიატრიული მკურნალობის მეშვეობით.“[35]

„მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი თეორია ძალადობასთან დაკავშირებით. მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცები იმიტომ სცემენ თვიაანთ ცოლებს, რომ მათ ეს ძალადობა ბავშობისას თვიაანთ ოჯახებშ ისწავლეს, ხოლო ქალები იმიტომ ეძებენ მოძალადე მამაკაცებს, რომ მათ ნანახი ჰქონდათ, თ როგორ სცემდა მამა დედას. ეს იყო **შესწავლილი ქცევის** ძალადობის თეორია.“[36] ვთვლი ამ თერის მეორე ნაწილი მცდარია ვინაიდან არცერთ ქალს არ აქვს სურვილი გადაიტანოს ის რაც გადაიტანმა მისმა დედამ.

„**შეცნობილი ქცევის** თეორიას მჭიდროდ უკავშირდება თეორიები, რომელთ მიხედვით, ძალადობა წარმოადგენს კონტროლის დაკარგვის შედეგს. მაგალითდ მრავალს მიაჩნდა, რომ მამაკაცები მაშინ არიან მოძალადენი, როცა სვამენ, ღადგან ალკოქოლი მათ კონტროლს აკარგვინბს. სხვები კი ამტკიცებენ, რომ მამაკაცების

[35] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახური ძალადობის საკითხებძე. თბილისი 2010. გვ.6
[36] იქვე.

ძალადობა წარმოადგენდამათი რისხვისა და იმედგაცრუების გაკონტროლები უუნარობის შედეგს.“[37]

ამგვარი თეორიებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ **სოციალური და ეკონომიკური სტრესის თეორია**. „აღნიშნული თეორიის მიხედვით ოჯახური ძალადობა გამოწვეულია ადამიანების სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე სტრესით, რასაც ისინი საკუთარი ძალით ვერ აგვარებენ. მოცემული თეორიის თადახმად ამგვარი პრობლრმრბი დამახასიათბელია და შესაბამისად, ოჯახური ძალადობა უფრო გავრცელებულია დაბალ სოციალურ ფენებში. სოციალური და ეკონომიკური სტრესის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახური ძალადობა მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის პრობლემა არ არის და იგი ისევეა გავრცელებული მაღალ სოციალურ ფენებშც.“[38]

საკმაოდ დიდი მსგავსებაა **შესწავლითი ქცევის** ძალადობის თორიასა და **ფსიქოდინამიურ თეორიას** შორის. „ფსიქოდინამიური თეორიის თანახმად, ოჯახური ძალადობა შედეგია ფსიქოდინამიური თვდაცვითი პროცესის. მოძალადე დედა, მამა და მეუღლე თვითონაც გამხდარან ბავშობაში ძალადობის მსხვერპლნი და მშობლების მხრიდან მხრიდან არასაკმარისი მზრუნველობა აქვთ განცდილი, რაც წარმოქმნის მათშ პარტნიორისადმი უნდობლობას.მოძალადეები საკუთარი ოჯხის წევრებისგან ითხოვენ იმ მზრუნველობას, ყურადღებას, რაც მათ ბავშობაში დააკლდათ.“[39]

„სოციალურ-ფსიქოლოგიური რესურსების თეორიის თანახმად, ოჯახი, როგორც სოციალური სისტემის ნაწილი, ვალდებულებებით და შიშით მყარდება. ძალადობა არის დასწავლილი საშუალება, რესურსი, სხვა აიძულო შეასრულოს ვალდებულებები. იგი, როგორც უკანასკნელი საშუალება, ისე გამოიყენება, თუ სხვა სახის რესურსი პიროვნებას ამოწურული აქვს ან არ გააჩნია. მაგალითდ როდესაც მამაკაცს სურვილი აქვს ოჯახში საკუთრი პოძიცია გაიმაგროს და თვი როგორც ძალაუფლების მქონემ ისე დაიმკვიდროს, ამისათვის საკმარისი

[37] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხზე. თბილისი 2010 გვ.6
[38] შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2012. გვ. 98
[39] იქვე.

სოციალური, ეკონომიკური და პიროვნული რესურსი უნდა გააჩნდეს. თუ მის მეუღლეს უკეთესი სამსახურეობრივი პოზიცია უკავია, საგრძნობლად მეტი შემოსავალი აქვს და რესურსიც მეტი გააჩნია წარმატების მიღწევის, მაშინ მამაკაცმა ძალაუფლების გამოსაყენებლად შეიძლება მიმართოს ძალადობას."[40]

ძალადობის ციკლის თეორია საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. „იგი ეფუძვნება წარმოდგენას, თითქოს მამაკაცები არ გამოხატავენ თავიაანთ რისხვას და იმედგაცრუებას იმიტომ, რომ ასწავლიდნენ, არ გამოევლინათ გრძნობები. მამაკაცის დაძაბულობა იზრდება მანამ, სანამ ის აფეთქდებოდა და მოძალადე გახდებოდა. დაძაბულობა გაიტირთებოდა და წყვილი ტკბებოდა „თაბლობის თვის" პერიოდით რომლის განმავლობაშიც ქმარი სინანულით აღსავსე იყო."[41]

ოჯახურ ძალადობასთ დაკავშირებით არსებოს კიდე სხვა ბევრი თეორია. ოჯახური ძალადობის გამომწვევი ფაქტორების არსებობის სხვადასხვა განსხვავებული შეხედულებები არსებობს რაც საფუძვლად დაედო ამ და სხვა თეორიების ჩამოყალიბებას. როგორც ვხედავთ ზემოთ მოყვანილი თეორიებიც ვერ ხსნიან თუ რა განაპირობებს მოძალადის ქმედებას და რა ახდენს გავლენას მის ფსიქოლოგიაზე.

4.1.ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

როგორც უკვე ავღნიშნეთ ქართული რეალობიდან გამომდინარე დღეისათვის ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი გამომწვევი უამრავი ფაქტორი არსებობს, მათ შორისაა კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები.

„ოჯახში ძალადობას სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს:

- უმუშევრობით გამოწვეული სტრესი, რაც იწვევს დაძაბულ ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის;

[40] შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2012. გვ. 99

[41]სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახური ძალადობის საკითხებმე. თბილისი 2010. გვ.7

• ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, რის გამოც, შესაძლოა, ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან;

• ქალების მზარდი ეკონომიკური აქტივობა და მამაკაცის მიერ მეუღლის დამოუკიდებლობის საფრთხედ აღქმა;

• წარსულში (ბავშვობაში) განცდილი ძალადობა, რის გამოც შემდგომში თავადაც ხდებიან მოძალადეები;

•ტრადიციული წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ;

• ძალადობის გაგება პრობლემის გადაჭრის მიღებულ მეთოდად. მაგ, მშობლები, შესაძლოა, ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად;

• საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა პასიური როლი: ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ღნიშნული იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ ადამიანად.“[42]

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

1)უმუშევრობა - იგი შეიძლება ჩაითვალოს ოჯახური ძალადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამომწვევ მიზეზად. „მამაკაცების ნაწილმა საბჭოთ კავშირის დაშლის შემდეგ ვერ შეძლო თავის საკუთრი დამკვიდრება. ბევრმა მათგანმა ვერ აუწყო ნაბიჯი ახალ ეკონომიკურ ფორმაციას, ბევრისათვის სათკილო გამოდგა ვაჭრობა. მამაკაცების ნაწილი ან თვითდასაქმებას ეწევა ან უმუშევარია. ისინი სრულყოფილ მამებად, მეუღლეებად, ვერ გრძნობენ ვს საუთარი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მათ როგორც სხვებისთვის მისაბაძმა ადამიანებმა საკუთრი სოციალური ფუნქცია დაკარგეს. უმუშევრობამ დაშემოსავლის არქონამ მეტად

[42] ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია.გვ 10.

შეასუსტა მამაკაცთ როგორც ოჯახის უფრსთა პოზიცია საკუთარ ოჯახში."[43] სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა ქალის როლის გაზრდა ოჯახში, ვინაიდან 21-ე საუკუნეში სწორედ ქალებმა იტვირთეს ოჯახის შენახვის და შვილების რჩენის ტვირთი. ამას კი სამშობლოდან გადახვეწის ხარჯზე ახერხებენ. ამ ყველაფერს ვერ ეგუებიან კაცები და სწორედ ეს ხდება შემდგომში ოჯახში ძალადობის გამოწვევის მიზეზი.

2)ოჯახში ძალადობის გამოწვევის ერთ-ერთ ნიშვნელოვან მიზეზადა შეიძლება დავასახელოთ ეჭვიანობა - „კვლევებით დადგინდა რომ მამაკაცების დიდი ნაწილიმეუღლეებძე ძალადობდა ეჭვიანობის ნიადაგზე. ეჭვიანი მამაკაცები ფიქრობენ, რომ ქალბატონები მათი საკუთრებაა და როგორც უნდათ ისე მოექცევიან. ისინი აკონტროლებენ ქალების ნებისმიერ ნაბიჯს თუ საქციელს. ხშირია შემთხვევები როდესაც მამაკაცები ეჭვიანობის ნიადაგზე უშლიან მეუღლეებს მუშაობას. მამაკაცების მხრიდან ეჭვანობა შესაძლებელია გამოიხატოს შემდეგ კომპონენტებში: ურთიერთობის შეძღუდვა, გადაადგილების და ქედების კონტროლი, ზეწოლა, დამცირება, ფულად შემოსავლებთან დაშვების შეზღუდვა, მუქარა, ქონების დაზიანება."[44]

3)ოჯახური ძალადობ გამმწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს "როლების არასწორი გადანაწილება ოჯახში – როდესაც მამაკაცი აღქმულია, როგორც ოჯახის წამყვანი, შემომტანი, პირველი პირი, ქალის აზრი კი დაკნინებულია, გაუთვალისწინებელია მისი ყველა სიტყვა, მას მხოლოდ მორჩილება და ოჯახური საქმე ევალება, ამ მდგომარეობის შესატყვისად, ფროიდი თავის ნაშრომში ხაზს უსვამს კულტურის განვითარებაში მამაკაცის როლს, ხოლო მისი აზრით, ქალები წარმოადგენენ ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, შემდეგ კი მიკრო სოციუმის შემქმნელებს."[45]

---

[43] შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. გამომცემლობა „მერიდიანი" თბილისი 2012. გვ.100-101.

[44] იქვე.

[45] http://4motivi.com/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/

4) ერთ-ერთ მიზეზად აგრეთვე შეიძლება მივიჩნიოთ ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალებები. მათი ისტემატიური მოხმარებით ადამიანი ვეღარ აკონტროლებს თავს და თავის ქმედებებს.

ამრიგად, ოჯახური ძალადობის გამომწვევი უამრავი მიზეზი არსებობს. ვფიქრობ ოჯახური ძალადობის თითოეული ფაქტი იმდენად ინდივიდუალურია, რომ კონკრეტულად რომელიმე მიზეზის გამოყოფა არ იქნება სწორი. აღნიშნული ფაქტები ცალ-ცალკე თუ ერთად საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ მოძალადის ფსიქოლოგიაზე.

თავი V ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მექანიზმები

როგორც ავღნიშენთ ოჯახური დანაშაული საკმაოდ დიდ პრობლრმას წარმოადგეს საქართველოსთვის. დღეისათვის ჩვენ სახელმწიფოში საკმაოდ კარგი კანონმდებლობა გვაქს ოჯახში ძალადობასთნ დაკავშირებით მაგრამ აუცილებელია დამატებითი რეფრმების გატარება. აგრეთვე მნიშვნელოვანია კანონმდებლობს დახვეწა და თანამედროვეობასთან გაიგიება, აგრეთვე ვფიქრობთ, რომ აუცილებელია გამკაცრდეს სანქციები რათა უფრო მეტად შესაძლებელი გახდეს შემცირდეს ოჯახური დანაშაულები.

ოჯახური დანაშაულთნ ბრძოლის მექანიძმეიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ შინაგან საქმეთა სამინისრტის ახალი ინსტიტუტი: „მართლწესრიგის ოფიცერი". „მართლწესრიგის ოფიცრის კომოეტენციაში შედის ისეთი საკითხები როგორიცაა არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთნ, სამეზობლო დავებთნ, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია - მოვალეობებში, ასევე, შედის: დანაშაულის პრვენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება."[46]

ოჯახური ძალადობასთნ ბრძოლის მექანიძმებიდან აგრეთვე მნიშვნელოვანია გამოვყოთ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ". აღნიშნულმა კანონმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ოჯახში ძალადობის კანონმდებლობის დახვეწაში.

ამ კანონის მიზანია:

[46] http://liberali.ge/articles/view/37953/shss-365-martltsesrigis-ofitsris-vakansias-atskhadebs

„ა) შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეწყობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები;

ბ)შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თვიდან აცილებისათვის;

გ)უზრუნველყოს ოჯახშ ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;

დ)შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;

ე) უზრუნველყოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიძნით.“[47]

საკმაოდ მნიშვნელოვანია პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის აღოფხვრის საკითხში. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარეის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[48] მუხლის მიხედვით: პოლიცია ვალდებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით : ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა. ამავე მუხლის მესამე ნაწილში ჩამოთვლილია პოლიციის ვალდებულებიი ძლადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში:

ა)მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთაად;

---

[47] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის. 2010 წელი. გვ.10

[48] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარეის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16მუხლი. 05/07/2018

ბ)განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, ნოწმე, მოძალადე, მათშრის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს;

გ)ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;

დ)მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;

ე)მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლონის გადაყვანა თვშესაფარში;

ვ)სხვა ადგილზე მსხვერპლის გადაყვანის შემთხვევაშ უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარმოება;

ზ)უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;

თ)კანონითდადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.[49]

სწორეთ პოლიციის მუშაკმა უნდა განსაზღვროს ოჯახში კომფლიქტის აღოსაფხვრელათ საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ადმინისთრაციული სამართლებრივი მექანიძმების გამოყენება. იმ შემთხვევაში თუ ქმედება თავისი სიმძიმით სცდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირების სფეროს და იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, მაშინ იგი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება.

ოჯახში ძალადობა ასევე რეგულირდება საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და საკმაოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის ჭრილში და ვთვლით რომ ერთ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ამ დანაშაულთნ საბრძოლველად.

„საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმების ნაწილი, რომელშიც განსაზღრულია აქტივობები თანაწორი მოპყრობის ხელშესაწყობად, მოუწოდებს საქართველოს

[49] „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარეის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი

ხელისუფლებას, განახორციელოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმოლემენტაცია; გაზარდოს ამ საკითხთან დკავშირებული ცოდნა როგორც ზოგადად მოსახლეობაში ისე კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებში, როგორიცაა პოლიცია, განსაკუთრებით კი სოფლებსა და უმცირესობის დასახლებულ ადგილებში. ასოცირების დღის წესრიგის აღნიშნული ნაწილი ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, გაზარდოს მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობა. საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის განხორციელება საჭიროებს სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ვინაიდან კანონი ყურადღბას ამახვილებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მომსახურების მნიშვნელოვან როლზე. სოციალური მუშაკები ასევე მიეკუთვნებინ იმ პროფესიულ ჯგუფებს რომლებიც, რომლებსაც სჭირდებათ საფუძვლიანი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება“.[50]

საერთაშორისო აქტებიდან მნიშვნელოვანია გამოვყოთ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.“

5.1.ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება

პრობლემის სირთულემ განაპირობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძლისათვის დამატებითი სისტემური ღონიძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც შემოთავაზებული იქნა „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მისგან გამომდინარე საკანონმებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით. აღნიშნული კანონის მე-9[51] მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

[50] http://www.parliament.ge/uploads/other/75/75664.pdf

[51] „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ კანონი. მე-9 მუხლი. 05/07/2018

სისხლისსამართლებრივი. სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიძმები. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას ძალადობის შინაარსის გათვალისწინებით ხდება როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ასევე ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდბლობით გათვალისწინებული მექანიძების გამოყენება. განმსაზღვრელი, ბუნებრივია, გახლავთ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, ასევე მიყენებული ზიანის მოცულობა და ფარგლები.“[52]

„სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება ოჯახურ ძალადობის დროს გამოგვადგება მიყენებული ზარალის ანაძღაურების ჭრილში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992[53]-ე მუხლის მიხედვით პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განძრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღუროს მას ეს ზიანი.

ანაზღურებას ექვემდებარება ასევე არამატერიალური ზიანი სამოქალაქო კოდექსის 413[54] -ე მუხლის თანახმად:

1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით;
2) სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაშ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.“[55]

სისხლისამართლებრივი რეგულირება ოჯახში ძალადობის ჭრილში ასახული საქართველოს სისხლის სამართლის ოდექსის 126[1] მუხლში. აღნიშნული მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს 2012 წლის 12 ივნისს დაემატა, იგი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმრთ ძალადობას, სისტემატიურ

[52] სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთ ტრენერებისთვის. „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.“ გვ.35. თბილისი 2011წელი.
[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 992მუხლი. 22/12/2018
[54] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 413 მუხლი.22/12.2018
[55] მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012. გვ.84

შეურაცხყოფას, შანტაჟსა და დამცირებას. რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე, და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანი.[56] „ამ მუხლის დამატებამდე კოდექსი არ შეიცავდა ცალკე მუხლს, რომელშიც მოცემული იქნებოდა ოჯახში ძალადობის, როგორც დანაშაულის, შემადგენლობა. კოდექსში კრიმინალიზირებული იყო ის მრავალი ქმედება, რომლებიც ოჯახურ ძალადობას შეადგენდა და შესაბამისი მუხლები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ მათში აღწერილი ქმედებები დანაშაულად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, გარეშე პირის მიერ იყო ისინი ჩადენილ, თუ ოჯახის წევრის მიერ.“[57]

ოჯახური ძალადობის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის არსებობისას კანონით სასჯელის სახედ გათვალისწინებულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 40-დან 150 საათმდე, ასევე თავისუფლების ღკვეთა ერთ წლამდე ვადით.[58] როგორც წესი საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე მოსამართლის გადასაწყვეტია სასჯელის რომელი სახე და ფორმა იქნება გამოყენებული დაზარალებულის უფლებების დასაცავად და რა საშუალებებით მოხდება მოძალადის რესოციალიზაცია და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ჩვენ ვფიქრობთ სწორედ ამისთვის მნიშვნელოვანია მოძალადეს ჰქონდეს ფსიქოლოგებთან კონსულტაცია სასჯელის მოხდის პერიოდში ვინაიდან საკმაოდ მნიშვნელოვანია მოძალადის ფსიქოლოგია როგორ ჩამოყალიბდება ამ პერიოდში ვინაიდან შესაძლებეია სასჯელის ვადის გასვლის და გათვავისუფლების შემდეგ უფრო მკაცრი დანაშაულის მომსწრენი გავხდეთ.

126^1 მუხლის მე-2[59] ნაწილში ჩამოთვლილია დამამძიმებელი გარემოებები, მათი არსებობისას მოძალადის მიმართ სასჯელი უფრო მკაცრი ხდება. კანონის მიხედვით უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს ის ვინც ძალადობრივ ქმედებას

[56] სისხლის სამართლის კოდექსი 126^1მუხლი 29/05/2019

[57] მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012. გვ.84

[58] სისხლის სამართლის კოდექსი 126^1მუხლი 29/05/2019

[59]სისხლის სამართლის კოდექსი 126^1მუხლი 29/05/2019

განახორციელებს ორსული ქალის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ირის ან არასრულწლოვანის მიმართ. ესენი არიან ის ადამიანები, რომელთაც მათ მდგომარეობის გამო არ შესწევთ უნარი გაუწიონ წინააღმდეგობა მოძალადეს, რომლის ქმედებამაც შესაძლოა სამუდმო დაღი დაასვას მსხვერპლის ფსიქოლოგიას და ჯანმრთელობას. კანონმდებელი საკმაოდ დიდ ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანის ინტერესებზე და იცავს მათ უფლებებს. ოჯახი ეს არის ადგილი სადაც ბავშვის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება ხორციელდება, რაც შემდგომში განსაძღვრავს მის ქცევას და ხელს უწყობს მისი პიროვნების ჩამოყალიბებას. ბავშის ფსიქოლოგიაზე მშობლების ყველანაირი ქცევა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მათმა გაუთავებელმა კამათმა შესაძლებელია მას ცხოვრებისეული დაღი დაასვას. სწორედ ამიტომ 126[1] მუხლის მეორე ნაწილით უფრო მკაცრად ისჯება ის ვინც ძალადობრივ ქმედებას ანორციელებს არასრულწლოვნის მიმართ და ასევე არასრულწლოვნის თნდასწრებით ძალადობს ოჯახის სხვა წევრზე. კანონი უფრო მკაცრია მაშინაც, როდესაც სახეზეა ოჯახური ძალადობის ორი ან მეტი მსხვერპლი, როდესაც ოჯახური ძალადობა ხორციელდება ჯგუფურად ან არაერთგზის, ასეთ შემთხვევაში სასჯელის სახედ გათვალისწინებულია საზოგადოებისათვის სასარგბლო შრომა ვადით ასიდან ორას საათამდე, თავისუფლების შეძღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თვისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

„სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი აწესრიგებს პასუხისმგებლობას ოჯახური ძალადობისათვის, ხოლო 126[1] მუხლი განსაძღვრავს ოჯახური ძალადობის არსს და სანქციებს თვისი მაკვალიფიცირებელი გარემოებებით.“[60]

„ოჯახური ძალადობის სისხლისამართლებრივ რეგულაციას აქვს თვისი დადებითი და უარყოფითი ნიშნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დადებითი ასპექტებია:

1. ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში მოქცევა და სისტემატიზაცია;
2. ოჯახში მოძალადე იგრძნობს, რომ იგი მოძალადეა;
3. ქმედებისთვის ადეკვატური სახელის დარქმევა;

[60] მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012. გვ.85

4. მოხდება დანაშაულის პრევენცია;

5.დააშინებს იმ პირებს ვინც პოტენციული მოძალადეა.

უარყოფითი ასპექტი: ხელს უშლის ოჯახის შენარჩუნებას. ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება მოძალადეს უკარგავს ოჯახურ ურთიერთობებში დაბრუნების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი შეუძლებლად ჩათვლის მის პოლიციაში დამსმენთან ერთად მომავალში ცხოვრებას.“[61]

ამგავრად ვთვლით რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო კანონმდებლობის დახვეწის მხრივ ოჯახური ძალადობის ცალკე მუხლად ჩამოყალიბება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ვინაიდან ამ ცვლილების შემდეგ საკმაოდ მარტივი გახდა ოჯახური ძალადობის გამიჯვნის სხვა დანაშაულებიგან. აგრეთვე მისი დამსახურებით ჩამოყალიბდა ის წრე ვინც შეიძლება იყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე.

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიურად გამოიყენება ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები. ოჯახური ძალადობის ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირბის მხრივ აღსანიშნავია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესიო კოდექსის VII[3] თავი[62] იგი ეხება: ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთ დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლის თნახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფება აქვს მსხვერპლს და ოჯახის სხვა წევრებს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში მეურვეებსა და მზრუნველობის ორგანოებს.

ოჯახური ძლადობის წინააღმდეგ გამოიყენება დამცავი და შემაკავებელი ორდერები, ისინი გამოიყენებიან იმ შემთხვევაში თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

[61] მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012. გვ.86

[62] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავი.30/11/2018

არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიძმებითაცაა შესაძლებელი.

„ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისათის, მსხვერპლის დაცვისა და ოჯახის ძალადობის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის მიზნით სახელმწიფი ორგანოების მიერ გამოიცემა დამცავი და შემაკავებელი ორდერები.“[63]

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

დამცავი ორდერი.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებემოსის პირის მიმართვის საფუძველძე სასამართლოს მიერ მხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უძრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიებების სახით გამოიცეს დამცავი ორდერი.“[64]

„დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაძღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.“[65]

„დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს“[66]

---

[63] [63] მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2012. გვ.87.

[64] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდესი. მუხლი 21[13].

[65] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 10.

[66] იქვე. მუხლი 11.

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მე-12 მუხლის 1 და მე-2 ნაწილი თანახმად:

1.დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

2.დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო, დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[13]მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით:

3. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;

ბ)განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

ბ[1])მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონს (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ)ქალთ მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას;

დ)ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათ ურთიერთკავშირის შესახებ;

ე)მტკიცებ უფლებათა ჩამონათვალს;

ვ)დამცავი ორდერის გამოცემის მაოთხოვნას;

ზ)მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე პირის ხელმოწერას.

შემაკავებელი ორდერი.

„შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც

გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.“[67]

„შემაკავებელ ორდერს გამოცემს პოლიციის უფლებამოსილი პირი. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის #1070 ბრძანებით, „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდე ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათ შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღრის შესახებ შესახებ“ და საქართველოს შინაგან საქმეთაა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის #333 ბრძანებით განისაზღვრა იმ პოლიციელთა ნუსხა, რომელთაც აქავთ უფლებამოსილება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ფაქტზე ოპერატიული რეგირებისათვის მსხვერპლის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოსცენ შემაკავებელი ორდერი, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს, დროებითი ხასიათის ამკრძალავ ღონისძიებებს უწესებს მოძალადეს.“[68]

შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი თნამშრომელი არა აქვს მნიშვნელობა იქნება ის კრიმინალური პოლიციის თუ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი. შემაკავებელი ორდერი ეს არის აქტი „ რომლითაც განისაზრვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება სასამართლოს“[69] „შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთი თვის ვადით, მას ამტკიცებს და დამტკცებაზე უარს ამბოს სასამართლოს უფლებამოსილი პირი.“[70] მოსამართლე ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე თავად განსაძღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადას.

ხშირად რთულია განვსაზღვროთ სად გადის ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალს შორის. კანონში პირდაპირ წერია, რომ სისხლის სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება მაშინ, როდესაც ქედება შეიცავ დანაშაულის ნიშნებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და „ოჯახში

[67] საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 10.
[68] სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხზე. გვ 21.
[69] საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი.10
[70] საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი. 12 მე-4 ნაწილი.

ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგად განსაზღვრებას გვაძლევს იმისა თუ რა იგულისხმება ძალადობრივ ქმედებაში. არაა მარტივი განვსაზღვროთ, როდის უნდა დაიწყოს გამოძიება და როდის შემოიფარგლოს ადმინისტრაციულისამართლებრივი მექანიზმებით. უპირველესად მნიშვნელოვანია შეფასდეს ქმედების სიმძიმე, კერძოდ გამოიწვია თუ არა მან პირის ფიზიკური ტკივილი ან სულიერი ტანჯვა. ფიზიკური ძალადობის დროს ამის დადგენა მარტივია, „ექსპერტის“ მეშვეობით. ექსპერტი არის "სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ, გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.“[71] რაც შეეხება სულიერ ტანჯვას, აღნიშნულის შეფასება და იმის განსაზღვრა უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება შედარებით რთულია, ვინაიდან ხანდახან თვად მსხვერპლიც კი ვერ აცნობიერებს, რომ მის მიმართ ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ან/და სხვა სახის ძალადობას.

5.2 ოჯახში ძაადობის პრევენცია

„ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისაკენ, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის

[71] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 3. ნაწილი 21. 29.05.2019 წლის მდგომარეობით.

სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ“[72]

ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია გატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები. საჭიროა მოსახლეობაში გაიზარდოს ცნობიერება აღნიშნული დანაშაულის თობაზე. რათა მათ შემდგომში მოახერხონ თავის დაცვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2019 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით:

„ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი ხდება. მათი ორგანიძაციის მხარდაჭერით შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დხმარების ოპერატიული მართვის ცენტრის „112“ - ის მობილურ აპლიკაციას დაემატა ახალი ფუნქცია რომლი დახმარებითაც დაინტერესებული პირები მარტივად მოიძიებენ ინფორმაციას თუ რა არის ოჯახში ძალადობა და როგორია მისი მისი ფორმები, ასევე, როგორ მოიქცნენ თუ ოჯახში ძალადობის პრობლემა აქვთ ან იციან ამგვარი შემთხვევის შესახებ.“[73]

ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით საჭიროა სახელმწიფოსა და საზოგადოების როლის გააქტიურება, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლაში ჩაბმული უნდა იყვნენ სკოლები, მედია საშუალებები, სამართავდამცავი ოგანოები, არასამთავრებო ორგანიძაციები და სხვა ამგვარი დაწესებულებები.

მაგალითად „2014 წელს თურქეტში, ყველაზე მაღალტირაჟიანმა გაზეთმა „Hurriyet”- მა დაიწყო ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია, ეს კამპანია შესანიშნავი მაგალითი აღმოჩნდა იმისა თუ როგორ შეიძლება კერძო მედია ინსტიტუტი ჩაერთოს ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლისა და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ძალისხმევაში. ამან გააძლიერა ძალადობის საწინააღმდეგო მხარდაჭერა და

[72] საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 6. 29.12.2009.
[73] http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/new-domestic-violence-features-added-to-112-mobile-app

თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, პოლიტიკოსების, რელიგიური ლიდერებისა, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებისა და ქალთა ორგანიძაციების მიმართ.“[74]

აგრეთვე საკმაოთ მნიშვნელოვანია განათლებაშიც მოხდეს სხვადასხვა სახის რეფორა აღნიშნულ საკითხთნ დაკავშრებით ვინაიდან მნიშვნელოვანია ბავშვებს თავიდანვე ვასწავლოთ ურთიერთპატივისცემა როგორც ოჯახის წევრების მიმართ ასევე საზოგადოების მიმართ. მაგალითად: „შვეიცარიამ საჯარო სკოლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსი შეიმუშავა, რომელიც მოიცავს ოჯახურ, სქესობრივ და ახალგაზრდების მიმართ ძალადობას. UNICEF-მა დაიწყო თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ეწოდება „უსაფრთხო და უნარების გამომვლენი სკოლა“, რომელიც მოიცავს კამპანიას ბავშვთა შორის ძალადობის შესაჩერებლად. ამ კამპანიის მიზანი გახლავთ დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლე ყველა ბავშვისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ხორვატიაში ეს კამპანია 400-ზე მეტ სკოლაში განხორციელდა.“[75]

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთთვის არის სპეციალური თავშესაფარი, „ოჯახში ძალადობის მხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია **სახელმწიფო თავშესაფარი**, სადაც მსხვერპლთა განთავსება ხდება 3 თვემდე ვადით“[76] ვთვლით, რომ აღნიშნული ვადა საკმაოდ მცირეა ამიტომ საჭიროა ამ დროის გაზდა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს არ აქვს არც არსად წასასვლელი და არც თანხა რითც შეიძლება თავი ირჩინოს. კარგი იქნება თუ თავშესაფარში ყოფნის პერიოდის გაიზრდასთან ერთდ მოხდება მსხვარპლის დასაქმება რათა მათ შეძლონ ცხოვრების სრულყოფილად გაგრძელა.

[74] „შიშისაგან დაცული, ძალადობისაგან დაცული“ ევროპის საბჭოს რედაქტირებული ვერსია. 2015წელი. გვ. 35

[75] „შიშისაგან დაცული, ძალადობისაგან დაცული“ ევროპის საბჭოს რედაქტირებული ვერსია. 2015წელი. გვ. 35-36.

[76] https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba

პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, თუ რა სახის სასჯელი იქნება გამოყენებული მოძალადის მიმართ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისთრო გეგმავს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას:

„მკაცრდება სასჯელი ოჯახში ძალადობაზე;

- გენდერული ნიშნით დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელი გარემოება ხდება ცალკეული დანაშაულებისთვის;
- მკაცრდება სასჯელი ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენისათვის;
- შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პირდაპირ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ნაცვლად დღეს არსებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად:

- გაიზარდა შემაკავებელი ორდერების გამოცემის, გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი;
- დასრულდა მუშაობა ძალადობის განმეორების რისკის შეფასების ინსტრუმენტსა და მონიტორინგის მექანიზმზე, რაც ძალადობის ეფექტიანი პრევენციის შესაძლებლობას იძლევა;
- გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეებში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის შემთხვევათა რაოდენობა;
- შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ამჟამად პარლამენტში განიხილება;
- გადაიდგა ნაბიჯები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტების აღმოსაფხვრელად;
- დაიწყო ოჯახში ძალადობაზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამომძიებელთა სპეციალიზაციის პროცესი.“[77]

[77] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhuri-danashaulis-shesakheb-momartvianoba-bolo-6-tveshi-sagrdznoblad-gaizarda/11806

ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია პოლიციის როლის გაზრდა და უფრო მეტად კვალიფიკაციის ამაღლება, ვინაიდან, როგორც წესი, თავიაანთი საქმიანობიდან გამომდინარე პირველები სწორედ ისინი ხდებიან ოჯახური ძალადობის ფაქტების შემსწრენი. მათ უხდებათ კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახში ძლადობის აქტების აღკვეთა და კანონით გათვალისწინებული ადეკვატური ღონისძიებების გამოყენება.

ამგვარად, ოჯახური ძალადობის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება, კონფლიქტური ოჯახების დახმარება კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა მექანიზმებით, აგრეთვე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ გატარდეს ბევრი ისეთი ღონისძიება რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის აღმოფხვრას და არა მის წაქეზებას.

თავი VI სტატისტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით

ოჯახური ძალადობა რომ ჩვენი ქვეყნისათვის პრობლემას წარმოადგეს ამას

თვეები	ფიზიკური	ფსიქოლოგიური	ეკონომიკური	სექსუალური	იძულება	უგელებელ ყოფა	სულ
იანვარი	233	805	23	2	16	9	1088
თებერვალი	236	788	22	2	8	7	163
მარტი	242	880	35	1	11	7	1176
აპრილი	222	740	13	2	5	5	987
მაისი	203	789	17	1	10	19	1039

ადასტურებს „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები.

აღნიშნული ცხრილით გადმოვეცით 2019 წლის მაისის თვის ჩათვლით მომხდარი ოჯახური ძალადობის სახეების სტატისტიკა. 2019 წელს მაისის თვის ჩათვლით სულ გამოიცა 4363 შემაკავებელი ორდერი.“[78]

ქვემოთ ჩვენ შემოგთავაზებთ სტატისტიკას[79] რომელის დახმარებითაც ჩვენ შევადარეთ 2016, 2017 და 2018 წლებში გამოცემული შემაკავებელი ორდერების მონაცემები და აღმოჩნდა რომ ყველაზე მეტი მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა ხოლო ყველაზე ნაკლები კი 2016 წელს. ჩვენ ვთვლით რომ ეს ფაქტი არ ნიშნავს რომ ამ პერიოდში ნაკლებად ხდებოდა ოჯახურ ძალადობა პირიქით შესაძლებელია უაფრო მაღალი მაჩვენებელიც ყოფილიყო, მაგრამ ამ პერიოდში

[78] https://info.police.ge/page?id=248&parent_id=102
[79] https://info.police.ge/page?id=102

საზოგადოება კიდევ ვერ ბედავდა აღნიშნულ დანაშულთან დაკავშრებით მიემართათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის.



დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენს მიერ დამუშავებული თემიდან“ ოჯახური ძალადობა თანამედროვე პრობლემა და მასთან ბრძოლის მექანიზმები უნდა გამოვყოთ შემდეგი:

ოჯახში ძალადობა - ეს არის ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე. იგი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისა დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახური ძალადობა, რომ სახეზე გვქონდეს აუცილებელია ძალადობის ამსრულებელიც და მსხვერპლიც იყოს ოჯახშის წევრი. ოჯახის წევრის ჩამონათვალი კი საკმაოდ ფართოა: ამ დანაშაულისათვის ოჯახის წევრად ითვლება: „მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი(გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ნაშრომზე მუშაობისას დავადგინეთ რომ ეს პრობლება საქართველოში ძველ დროშიც არსებობდა და საკმაოდ კარგად იყო ასახული კანონმდებლოაში.

კვლევის დროს გამოჩნდა რომ ოჯახში ძალადობა სხვადასხვა დოზით, თუმცა ყველა სახელმწიფოში არსებული პრობლემაა. და ყველა სახელმწიფო სხვადასხვა გზებით ცდილობს მის აღმოფხვრას. საქართველოში ბოლო დროს საკმაოდ იმატა ოჯახური ძალადობის ფაქტებმა, ამას ადასტურეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური სტატისტიკა. ოჯახური ძალადობა როგორც წესი განპირობებულია ქვეყანაში არსებული კულტურული, ეკონომიკური და სხვა სოციალური მიზეზებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოხდა ოჯახური ძალადობის

კრიმინლიზაცია და სასჯელის გამკაცრება ოჯახური ძალადობა კვლავ პრობლემად რ ჩება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულთან ბრძოლა, განათლებით იწყება. ამიტომ, ოჯახში ძალადობის პრობლემას უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გატარებული ღონისძიებათა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ. აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა თითოეულმა ადამიანმა იცოდეს თუ რას გულისხმობს ეს დანაშაული და რა დაცვის მექანიზმებს შეუძლიათ მიმართონ მათ. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს კანონმდებლობა და შევიდეს ცვლილებები რათა მოძალადის მიმართ განმოყენებულ იქნას სწორი და სამართლიანი სასჯელი. ვთვლით რომ აღნიშნული დანაშაულის შემცირების მიზნით საკმაოდ კარგი იქნება თუ მოძალადეები სასჯლის მოხდის პერიოდში გაივლიან კონსულტაციას ფსიქოლოგებთან და ეს სავალდებულო ხასიათის გახდება ვინაიდან შემდგომში ახალი დანაშაუის ჩადენის ყველანაირი რისკი თვიდან იქნას აცილებული. ამ ყველაფერს კი კონტროლს უნდა უწევდეს და ახორციელებდეს პროფესიონალურ დონეზე მომზადებული კადრები.

სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს კვალიფიციური კარდების მომზადება, კერძოდ იმ პირთა ვისაც სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე პირდაპირი შეხება აქვს კონფლიქტურ ოჯახებთან, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ ეს ადამიანები აფასებენ ოჯახში არსებულ მდგობარეობას და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი დაცვის მექანიზმი უნდა იქნეს გამოყენებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლის დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ოჯახური ძალადობა ეს არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პირის პრობლემა, არამედ ეს არის სრულიად საზოგადოების და სახელმწიფოს პრობლემა. ამიტომ ამ დანაშაულის აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით საჭიროა საერთო ძალებით ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა დააღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 29/05/2019 წლის მდგომარეობით. 30/11/2018 წლის მდგომარეობით.
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
5. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარეის შესახებ“ საქართველოს კანონი. 05/07/2018 წლის მდგომარეობით.
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 29.05.2019 წლის მდგომარეობით.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 22/12/2018 წლის მდგომარეობით.
8. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთ ტრენერებისთვის. „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.“
9. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში. „ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში. თბილისი 2017
10. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2014
11. ვ.მეტრეველი. (2014). ქართული სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა "მერიდინი“
12. ბოჭორიშვილი. კ, ლორია. ა, პრაქტიკული სახელმძღვანელო ძალადობის საკითხებზე. თბილისი 2009

13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სარედაქციო კოლეგია ირ. აბაშიძე, რმერტრეველი, არნ.ჩიქობავა. შ. ძიძიგური. მ.ჭაბაშვილი. 1990 წელი
14. შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2012.
15. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია.

17.„შიშისაგან დაცული, ძალადობისაგან დაცული“ ევროპის საბჭოს რედაქტირებული ვერსია. 2015წელი. გვ

ელექტრონული

1. https://info.police.ge/uploads/5ce53c43cbd4e.pdf
2. http://4motivi.com/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/
3.http://liberali.ge/articles/view/37953/shss-365-martltsesrigis-ofitsris-vakansias-atskhadebs

4. http://www.parliament.ge/uploads/other/75/75664.pdf

5.http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/03/new-domestic-violence-features-added-to-112-mobile-app

6. https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba

7. https://info.police.ge/page?id=248&parent_id=102

8. https://info.police.ge/page?id=102